სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები)
www.library.court.ge

0001115341120056

საქმე №3ბ/108-16
საქმე N330310015001107994

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

14 ივნისი, 2016 წელი ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე: გიორგი ტყავაძე
მოსამართლეები: თეა ძიმისტარაშვილი
მერაბ ლომოძე

სხდომის მდივანი: ნათია ზანდუკელი

აპელანტი – ა. დ.
წარმომადგენელი: ც. რ.

მოწინააღმდეგე მხარე – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
წარმომადგენელი: მ. ც.

მოწინააღმდეგე მხარე – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახური
წარმომადგენელი: ლ. დ.

დავის საგანი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 08 დეკემბრის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 08 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი

გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:
გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

ა. დ.-ს სარჩელი, მოპასუხეების - სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობს და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

2. დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:
უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

უდავო ფაქტობრივი გარემოებები

2.1 მოსარჩელე ა. დ. სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირებულია, როგორც მდედრობითი სქესის საქართველოს მოქალაქე და პირადობის მოწმობაში მის სქესად მითითებულია მდედრობითი.

მოსარჩელე ა. დ.-ს მდედრობითი სქესი სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირებულია 1979 წლის 13 ივლისის დაბადების აქტის ჩანაწერის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ, დაეფუძნა მე-4 სამშობიარო სახლის სამედიცინო ცნობას.

მოსარჩელე ა. დ.-ს შ.პ.ს „ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური კლინიკის“ დასკვნით დაუდგინდა სქესის იდენტიფიკაციის აშლილობა - ტრანსსექსუალიზმი.

2.2. მოსარჩელე ა. დ.-მ 2015 წლის 24 აპრილს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და ითხოვა ა. დ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXX) დაბადების სააქტო ჩანაწერში სქესის აღმნიშვნელ გრაფაში ცვლილების შეტანა - „მდედრობითის“ „მამრობითით“ შეცვლა.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2015 წლის 19 ივნისის №00111XXXXXXX/XX გადაწყვეტილებით ა. დ.-ს უარი ეთქვა სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანაზე.

2015 წლის 30 ივლისს ა. დ.-მ ადმინისტრაციული საჩივრით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2015 წლის 19 ივნისის №00111XXXXXXX/XX გადაწყვეტილება.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2015 წლის 31

აგვისტოს №01/XXXXXX/X გადაწყვეტილებით ა. დ.-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.3. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის, პირველი პუნქტი ყველას აძლევს გარანტირებულ უფლებას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

2.4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის, პირველი ნაწილის, „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან და ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე, ხოლო იმავე კოდექსის 22-ე მუხლის, პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით და თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. ამასთან, იმავე კოდექსის 23-ე მუხლის, პირველი და მე-2 ნაწილები პირს უფლებას აძლევს აღძრას სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე

განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი გადაწყვეტილებები შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, რაც მისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევის საფუძველს წარმოადგენს.

სასამართლოს მოსაზრებით უნდა შემოწმდეს საქართველოს კანონმდებლობას შეესაბამება, თუ არა „ა. დ.-ს დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2015 წლის 19 ივნისის №00111XXXXXX/XX გადაწყვეტილება და „ა. დ.-ს წარმომადგენლის - ც. რ.-ს ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე“ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2015 წლის 31 აგვისტოს №XX/XXXXXX/X გადაწყვეტილება, აგრეთვე სააქტო ჩანაწერში ცვლილების განხორციელებაზე - სქესის შეცვლაზე უარი.

2.5. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. სასამართლომ განმარტა, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლება მოიცავს აგრეთვე, ზოგადი პიროვნული უფლების ისეთ შემადგენელ ნაწილს, როგორიც არის პიროვნული თვითგამორკვევის (თვითიდენტიფიკაციის) უფლება, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ყველა ადამიანის უფლებას საკუთარი თავი შეიგრძნოს ისე, როგორც მას სურს მათ შორის, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი სქესი და სექსუალური ორიენტაცია.

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის, პირველი პუნქტით დაცულია, ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა. ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით არის დაცული ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

სასამართლომ განმარტა, რომ ღირსება ადამიანის ბუნებითი და ფუნდამენტური უფლებაა, რაც სხვა ძირითად უფლებათა საფუძველთა საფუძველია და იგი ვრცელდება ყველა ადამიანზე განურჩევლად მათი ფიზიკური, სოციალური, თუ სხვა მდგომარეობისა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და

აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის, თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლება დასაცავად.

ადამიანის უფლება თვითონ, დამოუკიდებლად განსაზღვროს ის, თუ როგორ შეიგრძნობდეს საკუთარ თავს, მათ შორის გენდერული თვალსაზრისით დაცულია ყველა ზემოთ აღნიშნული ნორმით, რასაც ასევე ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართალიც (იხ. თუნდაც, Christine Goodwine v The United Kingdom, Judgement of 11 July, 2002), მაგრამ იმისათვის, რომ სწორი სამართლებრივი შეფასება განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ დაცულ სფეროში ჩარევასთან დაკავშირებით აუცილებელია სწორად განისაზღვროს თვითონ დაცული სფერო.

აღნიშნული თვალსაზრისით სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ერთმანეთისაგან გაემიჯნა პიროვნების უფლება გენდერულად თავს შეიგრძნობდეს, როგორც მას სურს - გენდერული იდენტობა, პიროვნების უფლებისაგან - მისი სქესის ადექვატური საიდენტიფიკაციო მონაცემები იყოს შესაბამის საჯარო დაწესებულებაში დაცული.

სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის გენდერული თვითშეგრძნება - გენდერული იდენტობა არის მისი ფსიქო -ემოციური დამოკიდებულება მის გენდერულ კუთვნილებასთან დაკავშირებით, ხოლო სქესი ეს არის ობიექტურად არსებული ბიოლოგიურ -ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ადამიანის შეგრძნებების მიღმა, დამოუკიდებლად, თავისთავად არსებობს. ამრიგად, ადამიანის თვითშეგრძნების (თვითიდენტიფიკაციის) უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას ადგილი ექნება მაშინ, თუ პიროვნებას რაიმე ფორმით, ნებისმიერი მხრიდან ხელი შეეშლება საკუთარ შეგრძნებებში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს, რადგან მოსარჩელე სადავოდ ხდის საჯარო დაწესებულებაში დაცული მისი სქესის თაობაზე ინფორმაციის შეცვლაზე უარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოცემულ ვითარებაში მოსარჩელე - ა. დ.-ს საიდენტიფიკაციო მონაცემებში არსებული სქესის აღმნიშვნელი ინფორმაცის შეცვლა არის, თუ არა საქართველოს კონსტიტუციის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ზემოთ აღნიშნული ნორმებით დაცულ სფეროში შემავალი უფლება.

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის ერთ-ერთი საფუძველი არის სქესის შეცვლა. სასამართლომ, აღნიშნული ნორმის ლოგიკური და სიტყვა-სიტყვითი განმარტების მეთოდით შეფასების შედეგად, განმარტა, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, თანამედროვე სამედიცინო მიღწევების გათვალისწინებით, ყველა ადამიანს აძლევს შესაძლებლობას შეიცვალოს, მათ შორის თავისი ბიოლოგიურ-

ფიზიოლოგიური მდგომარეობის - სქესის თაობაზე არსებული ჩანაწერი, რომელიც მითითებულია შესაბამის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ცვლილება ზუსტ შესაბამისობაში იქნება პირის ნამდვილ ბიოლოგიურ - ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან - სქესთან.

აღნიშნული პირობა დეტერმინირებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისადმი არსებული საჯარო ინტერესით, რამდენადაც ადამიანთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები უმეტეს წილად სწორედ ასეთი ჩანაწერების საფუძველზე ხორციელდება და ინტერესი ვლინდება იმაში, რომ პირებს ერთმანეთის მიმართ და მეორე მხრივ, სახელმწიფოს პირების მიმართ ზუსტი ინფორმაცია უნდა გააჩნდეთ შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელების პროცესში. აღნიშნული ინტერესი ნორმატივიზირებულია „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში, რომელთა მიხედვით, სამოქალაქო აქტი არის ამ კანონით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, ხოლო სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია არის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ფიზიკური პირის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით ამ კანონით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის რეგისტრაცია.

სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მოსარჩელე ა. დ.-ს სქესი - მდედრობითი, როგორც მისი ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მონაცემი მითითებულია სამედიცინო ცნობის - სამშობიარო სახლის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე და დღემდე მას რაიმე ბიოლოგიურ -ფიზიოლოგიური ცვლილება ქირურგიული ჩარევის გზით არ განუცდია, რაც იძლევა ლოგიკური დასკვნის საფუძველს, რომ იგი დღეის მდგომარეობით შეესაბამება მდედრობით ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ მდგომარეობას - სქესს.

სასამართლომ აღნიშნაა, რომ მოსარჩელის მიზანი - მისი თვითშეგრძნებიდან - გენდერული იდენტობიდან გამომდინარე, შეცვალოს მისი სქესის აღმნიშვნელი, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემები რეალურად მიღწევადია, მისი თავისუფალი ნების საფუძველზე განხორციელებული სამედიცინო, ოპერაციული ჩარევის გზით.

ამრიგად, ადამიანის საიდენტიფიკაციო მონაცემებში სქესის აღმნიშვნელი ინფორმაციის შეცვლის მოთხოვნა მხოლოდ მაშინ იქნება საქართველოს კონსტიტუციის მე-16, მე-17 და მე-20 მუხლებით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით დაცული სფეროს დაცვის ღირსი ობიექტი, როდესაც ასეთ მოთხოვნას პირის ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მდგომარეობის - სქესის თაობაზე ნამდვილი, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოება უდევს საფუძვლად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული ვითარება, სწორედ ასეა შეფასებული სამეცნიერო ლიტერატურაში კერძოდ, სახელმძღვანელოში - „საქართველოს

კონსტიტუციის კომენტარები, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“ (თბ. 2013წ. გვ.92) აღნიშნულია, რომ პიროვნული თვითიდენტიფიკაციის უფლება (მათ შორის) მოიცავს სქესის შეცვლის უფლებას ბიოლოგიური ჩარევის გზით, ხოლო სქესის შეცვლის კვალობაზე კი - სახელის შეცვლის უფლება ახალი სქესის შესაბამისად და პირადი მონაცემების დოკუმენტებში ამ ცვლილების დაფიქსირების უფლებას.

სასამართლომ ასევე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტულ სამართალზე, სადაც აღნიშნულია, რომ პირებს, რომლებსაც ოპერაციულად არ შეუცვლიათ სქესი კონვენციის მე-8 მუხლს ვერ დაეყრდნობიან მათ სქესთან დაკავშირებული საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების მოთხოვნისას. მაგალითისთვის, საქმეზე - „ჰამალაინენი (HÄMÄLÄINEN) ფინეთის წინააღმდეგ (განაცხადი #37359/09, 2014 წლის 16 ივლისი) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა (პუნქტი 58-ე და 59-ე): სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა სცადა საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომრის შეცვლა მამრობითიდან მდედრობითზე, რადგანაც ქირურგიული ჩარევის შედეგად მამრობითი სქესის მდედრობითზე შეცვლის შედეგად, მისი მამრობითი სქესის საიდენტიფიკაციო ნომერი აღარ შეესაბამებოდა არსებულ რეალობას. სასამართლომ მრავალ საქმეზე დაადგინა, რომ პოსტ -ოპერაციულ ტრანსსექსუალებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ არიან კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევის მსხვერპლები, მათი სქესის სამართლებრივი აღიარების არ არსებობის საფუძვლით (იხილეთ, მაგალითად, გრანტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Grant v. the United Kingdom), #32570/03, § 40, ECHR 2006-VII; და L. ლიტვის წინააღმდეგ (L. v. Lithuania), #27527/03, § 59, ECHR 2007-IV).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დასკვნა, რომ მოპასუხე - სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უარი სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მოსარჩელე - ა. დ.-ს სქესის შესახებ მონაცემის შეცვლაზე იმ პირობებში, როდესაც მისი ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მოცემულობა - სქესი არ შეესაბამება მის მიერ მოთხოვნილ სქესის აღმნიშვნელ მონაცემს, სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონთან, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან და სხვა საკანონმდებლო, თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან, რის გამოც მოსარჩელე ა. დ.-ს სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.6. სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის

თანახმად, ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო იმ შემთხვევაში ცნობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს და ეს პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, ხოლო იმავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო იმ შემთხვევაში გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი ეწინააღმდეგება კანონს ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა ეს პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ამრიგად, საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტების სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ა. დ.-ს დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2015 წლის 19 ივნისის №00111XXXXXXX/XX გადაწყვეტილება და „ა. დ.-ს წარმომადგენლის - ც. რ.-ს ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე“ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2015 წლის 31 აგვისტოს №XX/XXXXXX/X გადაწყვეტილება გამოცემულია საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციის, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის და სხვა საკანონმდებლო, თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვით და კანონმდებლობის რაიმე არსებითი დარღვევის გარეშე, ასევე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უარი ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე, რომლითაც ა. დ.-ს (XXXX, დაბ. XX.XX.XXXXწ.) დაბადების სააქტო ჩანაწერში შევა ცვლილება - სქესის „მდედრობითის“ „მამრობითით“ შეცვლის თაობაზე არ ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნულ საკანონმდებლო აქტებს, რის გამოც სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3.1. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

აპელანტის მოსაზრებით 6.3 პუნქტში სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლზე, რომლის შესაბამისადაც ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და იქვე განმარტა, რომ

პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლება მოიცავს აგრეთვე, ზოგადი პიროვნული უფლების ისეთ შემადგენელ ნაწილს, როგორიც არის პიროვნული თვითგამორკვევის (თვითიდენტიფიკაციის) უფლება, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ყველა ადამიანის უფლებას საკუთარი თავი შეიგრძნოს ისე, როგორც მას სურს მათ შორის დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი სქესი და სექსუალური ორიენტაცია.

მიუხედავად სასამართლოს ზემოთაღნიშნული განმარტებისა, სასამართლომ არ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გადაწყვეტილების გამოტანისას და გადაწყვეტილების მე-6 გვერდზე მე-4 აბზაცში ერთმანეთისაგან გამიჯნა სქესი და გენდერი, სქესი როგორც ბიოლოგიური -ფიზიოლოგიური მდგომარეობა, ხოლო გენდერული იდენტობა - როგროც ფსიქო-ემოციური დამოკიდებულება.

აპელანტი აღნიშნავს, რომ გენდერული იდენტობა გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე პიროვნების ფსიქო-ემოციური დამოკიდებულება და ის თავის არსში მოიცავს სქესსაც, რაზეც სასამართლოს არ უმსჯელია. გადაწყვეტილების მე-7 გვერდზე პირველ აბზაცში სასამართლო სქესის შეცვლის ნორმას ლოგიკური და სიტყვა-სიტყვითი განმარტების მეთოდით შეფასების შედეგად განმარტავს, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, თანამედროვე სამედიცინო მიღწევების გათვალისწინებით, ყველა ადამიანს აძლევს შესაძლებლობას შეიცვალოს, მათ შორის თავისი ბიოლოგიურ-ფიზიოლოდიური მდგომარეობის - სქესის თაობაზე არსებული ჩანაწერი, რომელიც მითითებული შესაბამის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ცვლილება ზუსტ შესაბამისობაში იქნება პირის ნამდვილ ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან-სსქესთან.

აპელანტის მოსაზრებით სასამართლომ დაავიწროვა სქესის შეცვლის განმარტება და დაიყვანა იგი მხოლოდ ბიოლოგიურ ფიზიოლოგიურ მდგომარეობამდე, მაშინ როცა გენდერის ცვლილებაც თავის მხრივ მთელ რიგ ბიოლოგიურ ცვლილებებს, რომელიც მიმდინარეობს და რომლის საფუძველზეც სპეციალისტს გამოაქვს დასკვნა, რომ ადამიანის დიაგნოზი ტრანსსექსუალიზმია

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

4.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

4.2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი

თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

4.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებასა და დასკვნებს, საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

ფაქტობრივი დასაბუთება

4.4. მოსარჩელე ა. (სახელის შეცვლამდე ე.) დ. სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირებულია, როგორც მდედრობითი სქესის საქართველოს მოქალაქე და პირადობის მოწმობაში მის სქესად მითითებულია მდედრობითი. მოსარჩელე ა. დ.-ს მდედრობითი სქესი სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირებულია XXXX წლის XX ივლისის დაბადების აქტის ჩანაწერის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ, დაეფუძნა X სამშობიარო სახლის სამედიცინო ცნობას.

4.5. საქმეში წარმოდგენილი 1999 წლის 24 ივლისის ქორწინების ჩანაწერის NXXX აქტის თანახმად, ი. გ.-მ და ე. დ.-მ იქორწინეს. აღნიშნული პირები ქორწინებაში იმყოფებოდნენ 8 წლის განმავლობაში. განქორწინების აქტის ჩანაწერის თანახმად განქორწინება დარეგისტრირდა 2007 წლის 07 აგვისტოს. მოსარჩელის წარმომადგენელმა სააპელაციო საქმის განხილვისას დაადასტურა, რომ მოსარჩელეს აღნიშნული ქორწინებისას შეეძინა შვილი.

4.6. მოსარჩელე ა. დ.-ს შ.პ.ს „ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური კლინიკის" დასკვნით დაუდგინდა სქესის იდენტიფიკაციის აშლილობა - ტრანსსექსუალიზმი. მოსარჩელე ა. დ.-მ 2015 წლის 24 აპრილს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და ითხოვა ა. დ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXX) დაბადების სააქტო ჩანაწერში სქესის აღმნიშვნელ გრაფაში ცვლილების შეტანა - „მდედრობითის" „მამრობითით" შეცვლა.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2015 წლის 19 ივნისის №00111XXXXXXX/XX გადაწყვეტილებით ა. დ.-ს უარი ეთქვა სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანაზე.

4.7. 2015 წლის 30 ივლისს ა. დ.-მ ადმინისტრაციული საჩივრით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების

განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2015 წლის 19 ივნისის №00111XXXXXXX/XX გადაწყვეტილება.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2015 წლის 31 აგვისტოს №XX/XXXXXX/X გადაწყვეტილებით ა. დ.-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სამართლებრივი დასაბუთება

4.8. სააპელაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები; თავის მხრივ, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

4.9. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს „ა. დ.-ს დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2015 წლის 19 ივნისის №00111XXXXXXX/XX გადაწყვეტილების კანონიერება და „ა. დ.-ს წარმომადგენლის - ც. რ.-ს ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე“ მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2015 წლის 31 აგვისტოს №XX/XXXXXX/X გადაწყვეტილების კანონიერება. მოსარჩელე ასევე მოითხოვს განხორციელდეს სააქტო ჩანაწერში ცვლილება და ,,მდედრობითი" სქესი შეიცვალოს ,,მამრობითი" სქესით.

4.10. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. ამ ნორმიდან გამომდინარე სააპელაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას იმის შესახებ, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლება მოიცავს აგრეთვე, ზოგადი პიროვნული უფლების ისეთ შემადგენელ ნაწილს, როგორიც არის პიროვნული თვითგამორკვევის (თვითიდენტიფიკაციის) უფლება, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ყველა ადამიანის უფლებას საკუთარი თავი შეიგრძნოს ისე, როგორც მას სურს მათ შორის, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი სქესი და სექსუალური ორიენტაცია.

სააპელაციო პალატა მხარეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ საქმეში წარმოდგენილი 1999 წლის 24 ივლისის ქორწინების ჩანაწერის NXXX აქტის თანახმად, ი. გ.-მ და ე. დ.-მ იქორწინეს. განქორწინების აქტის ჩანაწერის თანახმად განქორწინება დარეგისტრირდა 2007 წლის 07 აგვისტოს. მოსარჩელის წარმომადგენელმა სააპელაციო საქმის განხილვისას დაადასტურა, რომ მოსარჩელეს აღნიშნული ქორწინებისას შეეძინა შვილი. ანუ მოცემულ შემთხვევაში

მოსარჩელემ სრულწლოვანი ასაკის მიღწევის შემდეგ მამაკაცთან შექმნა ოჯახი, შეეძინა შვილი აღნიშნული ქორწინებაში იმყოფებოდა 8 წლის განმავლობაში.

4.11. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის, თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლება დასაცავად.

4.12. ადამიანის უფლება თვითონ, დამოუკიდებლად განსაზღვროს ის, თუ როგორ შეიგრძნობდეს საკუთარ თავს, მათ შორის გენდერული თვალსაზრისით დაცულია ყველა ზემოთ აღნიშნული ნორმით, რასაც ასევე ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართალიც (იხ. თუნდაც, Christine Goodwine v The United Kingdom, Judgement of 11 July, 2002), მაგრამ იმისათვის, რომ სწორი სამართლებრივი შეფასება განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ დაცულ სფეროში ჩარევასთან დაკავშირებით აუცილებელია სწორად განისაზღვროს თვითონ დაცული სფერო.

4.13. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განმარტა, რომ ადამიანის გენდერული თვითშეგრძნება - გენდერული იდენტობა არის მისი ფსიქო - ემოციური დამოკიდებულება მის გენდერულ კუთვნილებასთან დაკავშირებით, ხოლო სქესი ეს არის ობიექტურად არსებული ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ადამიანის შეგრძნებების მიღმა, დამოუკიდებლად, თავისთავად არსებობს. ამრიგად, ადამიანის თვითშეგრძნების (თვითიდენტიფიკაციის) უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას ადგილი ექნება მაშინ, თუ პიროვნებას რაიმე ფორმით, ნებისმიერი მხრიდან ხელი შეეშლება საკუთარ შეგრძნებებში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს, რადგან მოსარჩელე სადავოდ ხდის საჯარო დაწესებულებაში დაცული მისი სქესის თაობაზე ინფორმაციის შეცვლაზე უარს.

4.14. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის ერთ-ერთი საფუძველი არის სქესის შეცვლა. სააპელაციო პალატა ასევე ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას ამ ნორმასთან დაკავშირებით. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, თანამედროვე სამედიცინო მიღწევების გათვალისწინებით, ყველა ადამიანს აძლევს შესაძლებლობას შეიცვალოს, მათ შორის თავისი ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მდგომარეობის - სქესის თაობაზე არსებული ჩანაწერი, რომელიც მითითებულია შესაბამის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ცვლილება ზუსტ შესაბამისობაში იქნება პირის ნამდვილ ბიოლოგიურ -

ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან - სქესთან.

აღნიშნული პირობა დეტერმინირებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისადმი არსებული საჯარო ინტერესით, რამდენადაც ადამიანთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები უმეტეს წილად სწორედ ასეთი ჩანაწერების საფუძველზე ხორციელდება და ინტერესი ვლინდება იმაში, რომ პირებს ერთმანეთის მიმართ და მეორე მხრივ, სახელმწიფოს პირების მიმართ ზუსტი ინფორმაცია უნდა გააჩნდეთ შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელების პროცესში. აღნიშნული ინტერესი ნორმატივიზირებულია „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში, რომელთა მიხედვით, სამოქალაქო აქტი არის ამ კანონით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, ხოლო სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია არის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ფიზიკური პირის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით ამ კანონით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის რეგისტრაცია.

სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მოსარჩელე ა. დ.-ს სქესი - მდედრობითი, როგორც მისი ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მონაცემი მითითებულია სამედიცინო ცნობის - სამშობიარო სახლის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე და დღემდე მას რაიმე ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ცვლილება ქირურგიული ჩარევის გზით არ განუცდია, რაც იძლევა ლოგიკური დასკვნის საფუძველს, რომ იგი დღეის მდგომარეობით შეესაბამება მდედრობით ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ მდგომარეობას - სქესს.

4.15. ამრიგად, ადამიანის საიდენტიფიკაციო მონაცემებში სქესის აღმნიშვნელი ინფორმაციის შეცვლის მოთხოვნა მხოლოდ მაშინ იქნება საქართველოს კონსტიტუციის მე-16, მე-17 და მე-20 მუხლებით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით დაცული სფეროს დაცვის ღირსი ობიექტი, როდესაც ასეთ მოთხოვნას პირის ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მდგომარეობის - სქესის თაობაზე შესაბამისი ფაქტობრივი გარემოება უდევს საფუძვლად.

სააპელაციო პალატა ასევე ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას იმის შესახებ, რომ მოცემული ვითარება, სწორედ ასეა შეფასებული სამეცნიერო ლიტერატურაში კერძოდ, სახელმძღვანელოში - „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“ (თბ. 2013წ. გვ.92) აღნიშნულია, რომ პიროვნული თვითიდენტიფიკაციის უფლება (მათ შორის) მოიცავს სქესის შეცვლის უფლებას ბიოლოგიური ჩარევის გზით, ხოლო სქესის შეცვლის კვალობაზე კი - სახელის შეცვლის უფლება ახალი სქესის შესაბამისად და პირადი მონაცემების დოკუმენტებში ამ ცვლილების დაფიქსირების უფლებას.

4.16. მოსარჩელე სარჩელში უთითებს, რომ მისი 2012 წლიდან თანაცხოვრებაშია

ქალბატონთან. წყვილი ვერ ქორწინდება რადგან მოსარჩელის დაბადების მოწმობაში, პირადობის მოწმობაში და პასპორტში სქესის აღმნიშვნელ გრაფაში. ამიტომ მიმართა მოპასუხეს სქესის შეცვლის მოთხოვნით.

სააპელაციო პალარტა მხარეებს მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის თანახმად ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით ერთსქესიანთა შორის ქორწინება არ დაიშვება. ხოლო სქესის შესახებ სამოქალაქო აქტში არსებული ჩანაწერის შეცვლა შესაძლებელია განხორციელდეს „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კერძოდ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩანაწერში ცვლილების შეტანის საფუძველია სქესის შეცვლა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

4.17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხე - სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უარი სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მოსარჩელე - ა. დ.-ს სქესის შესახებ მონაცემის შეცვლაზე იმ პირობებში, როდესაც მისი ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მოცემულობა - სქესი არ შეესაბამება მის მიერ მოთხოვნილ სქესის აღმნიშვნელ მონაცემს, სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონთან, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან და სხვა საკანონმდებლო, თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან, რის გამოც მოსარჩელე ა. დ.-ს სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრით ვერ იქნა გაბათილებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალქო

სასამართოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

6. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 390-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ
დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. დ.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 08 დეკემბრის გადაწყვეტილება;

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში.

თავმჯდომარე: **გიორგი ტყავაძე**

მოსამართლეები: **თეა ძიმისტარაშვილი**

მერაბ ლომიძე